

2. ღონისძიების შედეგების მნიშვნელობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	მინიმუმ – 1 მაქსიმუმ – 9 ქულა
1. მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობა დარგის განვითარებისთვის 2. ღონისძიების მასალების ხელმისაწვდომობისა და გავრცელების მექანიზმები										
3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	მინიმუმ – 1 მაქსიმუმ – 9 ქულა
1. გეგმა-გრაფიკის შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან 2. ბიუჯეტისა და ბიუჯეტის დასაბუთების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან და თანადაფინანსების არსებობა										
ქულების ჯამი:										მინიმუმ – 3 მაქსიმუმ – 27 ქულა
შემაჯამებელი კომენტარი პროექტის შესახებ (ექსპერტის შემაჯამებელი კომენტარი სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული ქულების შესაბამისად):										

4. თითოეული კრიტერიუმი ფასდება 9-ქულიანი სისტემით (1– 9), სადაც 1– 3 ქულა შეესაბამება C კატეგორიის შეფასებას, 4– 6 ქულა შეესაბამება B კატეგორიის შეფასებას, ხოლო 7– 9 ქულა შეესაბამება A კატეგორიის შეფასებას. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 27 ქულა. დაფინანსებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა 18 და მეტი ქულა.

5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს. თანაბარქულიანი და თანაბარბიუჯეტიანი პროექტების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტს, რომელსაც აქვს თანადაფინანსება ან/და თანადაფინანსების მეტი წილი.

6. კრიტერიუმების ქულების განაწილების განმარტებები:

შეფასება ქულით	შეფასება ABC კატეგორიით	შეფასება	განმარტება
1	C-	სრულიად შეუსაბამო	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
2	C	ნაწილობრივ შეუსაბამო	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გართულებულია პროექტის შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
3	C+	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები.
4	B-	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები
5	B	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არაა დამაკმაყოფილებელია
6	B+	საკმაოდ კარგი	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია
7	A-	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება
8	A	მაღიან კარგი	პროექტი მაღიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა
9	A+	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს. ხარვეზები უმნიშვნელოა